ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის
მთავარი სამეცნიერო რედაქცია

უცხოური პირთა სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი

რედაქტორები
ა. კობახიძე, მ. ჭაბაშვილი

თბილისი, 1989

საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემია
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

სარედაქციო საბჭო:

ი. აბაშიძე (თავმჯდომარე), ა. კობა-
ხიძე, ჭ. ლომთათიძე, ა. საყვარე-
ლიძე, ც. ცერცვაძე, მ. ჭაბაშვილი,
ბ. ჯორბენაძე

წინასიტყვაობა

არსებობს უცხოურ პირთა და გეოგრაფიულ სახელთა გადმოცემის გარკვეული ტრადიცია და მათი მართლწერა ძირითადად მყარია. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ აღარაფერია მოსაგვარებელი. ხშირად ეკარგება ცალკეული სახელების პარალელური ფორმები. ამას ბევრი მიზეზი აქვს მაგალითად, ერთი და იმავე გეოგრაფიული ადგილის ან პიროვნების სახელის ერთი ფორმა შემოსულია უშუალოდ იმ ენიდან, თანამედროვე ურთიერთობაცაა იგი, მეორე — სხვა ენის (ყველაზე უფრო ხშირად რუსულის) შუქსეობით, სიტყვა ნასესხებია ან მისი ტრანსკრიპციის ან ტრანსლიტერაციის პრინციპი (ვაიმარი, კლიბერნი — კლაიბერნი, ებერდინი — აბერდინი); ზოგჯერ კი თუ ის სახელი მცდარად იხმარება (ოგაიო — ოჰაიოს ნაცვლად, ბირმინგჰემი — ბირმინგემის ნაცვლად, შტუტგარტი — შტუტგარტის მაგივრად, პიბრალტარსაც კი შეხედებით გიბრალტარის ადგილას). სხვადასხვა პირს სხვადასხვაგვარად გაღმოაქვს ქართულად ზოგი სიტყვა (მიუნხენი და მიუნჰენი, ციურიხი და ციურიხი. ბრეჭტი და ბრეტტი, კელნი და კიოლნი ან კოლნი). ეს არც არის გასაკვირი — ითარგმნება დიდძალი ლიტერატურა, საგაზეთო მასალა. მთარგმნელები ბევრ სიძნელეს აწყდებიან უცხოური საკუთარი სახელების გადმოღებისას, გეხვდება სიჭრელე მათ ქართულ დაწერილობაში. ხშირად მთარგმნელებს სხვადასხვა შეხედულება აქვთ ამა თუ იმ სახელის ქართულად გადმოცემასთან დაკავშირებით.

კარგა ხანია მომწიფებულია უცხოურ საკუთარ სახელთა უნიფიკაციის საკითხი. უნიფიკაციის საჭიროებამ განსაკუთრებით იჩინა თავი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის (ქსე) შემდგენელთა წინაშე. აუცილებელი იყო ენციკლოპედიაში შესულ სახელთა გადმოცემის მოწესრიგება. შეძლებისდაგვარად ეს გაკეთდა უკვე გამოცემული «თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისა» 1 კრებულისა (1970 და 1986) და ე. თოფურიას და ივ. გიგინეიშვილის მიერ შედგენილი «ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის» (1968) მონაცემების მიხედვით, აგრეთვე ცალკეული ენების სპეციალისტთა აზრის გათვალისწინებით.

უცხოურ საკუთარ სახელთა უნიფიკაციის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის დადგენილების შესაბამისად შედგენილია «საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიულ სახელთა ორთოგრაფიული ლექსიკონი» (1988) და წინამდებარე «უცხოური პირთა სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი». ამ ლექსიკონებში შესულია საკუთარი სახელები, რომლებიც კი გეხვდება ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიასა (ტტ. 1 — 11, 1975 — 1987) და დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში (Большая Советская Энциклопедия, III გამოც., ტტ. 1 — 30, 1969 — 1978).

ლექსიკონი, როგორც სახელმძღვანელოებიდანაც ჩანს, ორთოგრაფიულია და ამდენად მისი ძირითადი დანიშნულებაა უჭვენოს მკითხველს, თუ როგორ იწერება ქართულად ესა თუ ის უცხოური სახელი. ამავე დროს მოცემულია ძალიან მოკლე განმარტება (ვინ არის ესა თუ ის პიროვნება) და დაბადება-გარდაცვალების თარიღები[1].

---

[1] ჩვენი საუკუნის ზოგი მოღვაწის გარდაცვალების წლის დადგენა ჯერ მოსერხდა (ბოლო მონაცემები აღებული გვაქვს საბჭოთა ენციკლოპედიური ლექსიკონიდან — Советский Энциклопедический Словарь, 1986).

აინშტაინი (Einstein) ალბერტ — გერმანელი ფიზიკოსი (1879 — 1955).
თაგორი რაბინდრანათ — ინდოელი მწერალი და მოაზროვნე (1861 — 1941).
რუზველტი (Roosevelt) ფრანკლინ დელანო — აშშ-ის სახელმწ. მოღვაწე (1882 — 1945)

ზოგჯერ ძირითად სახელთან ერთად მოცემულია მისგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული პარალელური სახელი (სახელები).

იბნ სინა, აბუ ალი იბნ სინა (ლათინიზებული — ავიცენა)...

ზოგჯერ სახელი ცნობილია ორგვარი დაწერილობით (განსხვავება ფონეტიკურია). ასეთ შემთხვევაში ერთ-ერთს აქვს მინიჭებული უპირატესობა და დეფინიცია მასთანაა მოცემული, ხოლო მეორესთან მითითებაა:

დირიხლე, იხ. დირიკლე
ვილსონ-ი, იხ. უილსონი

* * *

თანხმოვანფუძიან სახელებში სახელობითი ბრუნვის ნიშანი ი გამოყოფილია და ანბანის რიგში არ შედის; მაგ., ჯერ არის ვილდ-ი, შემდეგ — ვილდგანს-ი, მაგრამ თუ სიტყვის ბოლოში ი ფუძისეულია (ე.ი. უცხო ენაშიე აქვს იგი სახელს), რა თქმა უნდა. გამოყოფილი არ არის და ანბანის რიგში ჩათელილია (პუჩინი, სკარლატი, დონიცეტი...).

არაბული გვარების არტიკლი ალ- ანბანის რიგში არ ითვლება: ალ-ბირუნი — ბ-ზე უნდა ვეძებოთ, ალ-ყაზვინი — კ-ზე, ალ-მაარი — მ-ზე.

ქალთა უცხოური (ფრანგული, ინგლისური, გერმანული) თანხმოვანფუძიანი სახელები ქართულში შემოსულია რუსულის გზით (ა დაბოლოებით): ჟანა, ჟანეტა, ანეტა, მადლენა, პენრიეტა (ან გენრიეტა), ალისა, ინეზა და მისთ. მაგრამ ბოლო ათწლეულებში, როდესაც მხატვრული ლიტერატურა ამა თუ იმ ენიდან უპირატესად უშუალოდ ითარგმნება, მდგომარეობა შეცვლილია. ასეთი სახელები უკვე გადმოაქვთ დედნისეულ ფორმასთან მიახლოებით და გვაქვს ჟოზეფინ-ი, ფრანსუაზ-ი, მადლენ-ი, ჟენევიევ-ი, მარგარეტ-ი, გერტრუდ-ი, ელიზაბეთ-ი, ბრიჟიტ-ი, რუთ-ი, ლილიან-ი, ნიკოლ-ი, ივიენ-ი და ა.შ.

კაცისა და ქალის ზოგი ფრანგული სახელის ფუძე საერთოა, განსხვავება დაბოლოებაშია (და ერთგვარად წარმოთქმაშიც). მაგ., Jean (კაცის სახელი), Jeane (ქალისა; ქართულად ორივე გამოითქმის როგორც ჟან. ასევე Simon (კაცისა), Simone (ქალისა), ქართულად სიმონ; Daniel (კაცისა), Danielle (ქალისა) — დანიელ; Gabriel (კაცისა), Gabrielle (ქალისა) — გაბრიელ.

ლექსიკონში საკუთარი სახელები შეტანილია ძირითადად იმ რედაქციით, რომლითაც ისინი შეიძლება ქსე-ში.

ქსე-ში შესული საკუთარი სახელების რედაქტირებაში მონაწილეობა მიიღეს ქსე-ის უფროსმა სამეცნიერო რედაქტორმა კონა გიგინეიშვილმა და სხვადასხვა ენის სპეციალისტებმა: პროფ. ნიკო ყიასაშვილმა (ინგლისური), დოც. ნუნუ ქადეიშვილმა (ფრანგული), პროფ. ნოდარ კაკაბაძემ (გერმანული), პროფ. ალექსი ლეკიაშვილმა და პროფ. ვლადიმერ ახვლედიანმა (არაბული), აკად. სერგი ჯიქიამ და წამყვანმა მეცნიერმა თანამშრომელმა ცისანა აბულაძემ (თურქული), პროფ. ჯემშიდ გუნაშვილმა (სპარსული), დოც. გრიგოლ ნახუცრიშვილმა (ინდური ენები), უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ნისან ბაბალიაშვილმა (ებრაული). კონსულტაციას გვიწევდნენ: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გრიგოლ გიორგაძე (ძვ. აღმოსავლეთი), დოც. სტანისლავ რავიჩი (პოლონური), პროფ. აკაკი ურუშაძე (ახ. ბერძნული).

ლექსიკონის მთელი მასალის პირველადი რედაქცია ეკუთვნით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ივანე გიგინეიშვილს, ენათ-

მეცნიერების ინსტიტუტის წამყვან მეცნიერ თანამშრომელს მიხეილ ჭაბაშვილს და უფროს მეცნიერ თანამშრომელს ალექსანდრე კობახიძეს (1982 წლიდან).

რედაქტირებაზე იმუშავეს აგრეთვე თსუ-ის უფროსმა მასწავლებელმა არიანე ჭანტურიამ (ინგლისური), დოც. ნუნუ ქადეიშვილმა (ფრანგული), პროფ. ნოდარ კაკაბაძემ (გერმანული), პროფ. ვლადიმერ ახვლედიანმა (არაბული), პროფ. ჯემშიდ გიუნაშვილმა (სპარსული); კონსულტაციას გაიწევდნენ პროფ. აკაკი ურუშაძე (ახ. ბერძნული), ფილოლ. მეცნ. კანდიდატი შალვა გაბესკირია (თურქული); უცხოენოვან ბგერათა გადმოცემის წესების თაობაზე სასარგებლო შენიშვნები მოგვცა დოც. შუქია აფრიდონიძემ.

იმ ევროპული ენებიდან შემოსული სახელების მართლწერის დასადგენად, რომელთა სპეციალისტები არ გვყავდა, ვიყენებდით რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ენციკლოპედიებს და ვცდილობდით, შეძლებისდაგვარად ადეკვატურად გადმოგვეცა ისინი.

რაც შეეხება ჩინურ, იაპონურ, კორეულ და სამხრეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ და ცენტრალური აზიის ქვეყნების (პაკისტანი, შრი-ლანკა, ნეპალი, ბირმა, ტაილანდი, ლაოსი, კამბოჯა, ვიეტნამი, ფილიპინები, ინდონეზია, მონღოლეთი), აგრეთვე აფრიკის მკვიდრთა ენებიდან შემოღწეულ სახელებს, ისინი გავმართეთ ძირითადად რუსულის მიხედვით. ისეთ შემთხვევებში, როდესაც ამ სახელებში გეხვდებოდა ბგერა ჰ, რომელიც რუსულში არ არის, ეყრდნობოდით უცხოური ენციკლოპედიების ჩვენებას.

ლექსიკონს საბოლოო რედაქცია გაუკეთეს მ. ჭაბაშვილმა და ა. კობახიძემ. აწყობილი ტექსტი მთლიანად წაიკითხა და გააკონტროლა ა. ჭანტურიამ. რედაქტორებს დიდი დახმარება გაუწიეს ქსე-ის სალიტერატურო კონტროლის რედაქციის უფროსმა სამეცნიერო რედაქტორებმა მზიური დუგლაძემ და მანანა მაკალათიამ. ინგლისური საკუთარი სახელების დამუშავებაში რედაქტორებს ეხმარებოდნენ ქსე-ის სამეცნიერო რედაქტორები ელადა ჯაში და რუსუდან ფოფხაძე.

* * *

ევროპული ენებიდან ნასესხები საკუთარი სახელების ქართული მართლწერა ემყარება ქვემოთ მოყვანილ წესებს.

ზოგიერთი უცხოენოვანი ბგერისა და ბგერათკომპლექსის გადმოცემა ქართულში[1]

გერმანული

aa — აა (და არა: ა): Aachen — აახენ-ი.

ä ან **ae** — ე: Grübner — გრუბნერ-ი, Graebe — გრებე, Güldenstaedt — გიულდენშტელტ-ი.

---

1 აქ მოცემული წესების შესადგენად ვისარგებლეთ სხვადასხვა ლექსიკოგრაფიული წყაროთი და, კერძოდ, უკანასკნელ წლებში გამოსული ცნობარით: Н. С. Гиляревский, Н. А. Стеростин, Иностранные имена и названия в русском тексте, изд. второе, М., 1978, изд. третье, М. 1985.

გეოგრაფიული და პირთა სახელების ნაშუქები მოყვანილია ერთად. გადმოცემის წესი ყველა ტიპის სახელებისათვის ერთია.

ch — ხ (და არა: ჰ): Zürich — ციურიხ-ი, Buchenwald — ბუხენვალდ-ი, Bochum — ბოხუმ-ი.

ch — კ (და არა: ქ): Christoph — კრისტოფ-ი, Christian — კრისტიან-ი.

ck — კ: Dick — დიკ-ი, Becker — ბეკერ-ი.

dt — დტ: Schmidt — შმიდტ-ი, Brandt — ბრანდტ-ი.

ee — ეე (და არა: ე): Bodensee — ბოდენზეე.

ei და ey — აი: Einstein — აინშტაინ-ი, Braunschweig — ბრაუნშვაიგ-ი, Heinrich — ჰაინრიხ-ი Beyer — ბაიერ-ი, Weydemeyer — ვაიდემაიერ-ი.

eu — ოი: Bleuler — ბლოილერ-ი, Feuerbach — ფოიერბახ-ი, Eugen — ოიგენ-ი, მაგრამ (ტრადიციის გამო) Euler — ეილერ-ი.

h — ჰ: Hamburg — ჰამბურგ-ი, Hermann Hesse — ჰერმან ჰესე.

h (არ გამოითქმის):

ა) სიტყვის ბოლოს: Neuloh — ნოილო.

ბ) r-ს შემდეგ: Rhowolt — როვოლტ-ი.

გ) ხმოვნის შემდეგ, როდესაც მას მოსდევს თანხმოვანი: Behling — ბელინგ-ი, Behrendt — ბერენდტ-ი.

დ) ხმოვნის შემდეგ, როდესაც მას მოსდევს **e**: Hohenzollern — ჰოენცოლერნ-ი.

ie — ი: Dietrich — დიტრიხ-ი, Griesbach — გრისბახ-ი.

ö და oe — ე (და არა: იო ან ო): Köln — კელნ-ი (და არა: კიოლნ-ი ან კოლნ-ი), Schönberg — შენბერგ-ი (და არა: შონბერგ-ი), Röntgen — რენტგენ-ი, Wilamowitz-Moellendorf — ვილამოვიც-მელენდორფ-ი, Ötztaler Alpen — ეცტალის ალპები.

ph — ფ: Philipp — ფილიპ-ი, Gryphius — გრიფიუს-ი.

q — კ (და არა: ქ): Quedenfeldt — კვედენფელდტ-ი (და არა: ქვედენფელდტ-ი).

s (ხმოვნის წინ) — **ზ**: Sommerfeld — ზომერფელდ-ი, Salzburg — ზალცბურგ-ი, Saarbrücken — ზაარბრიუკენ-ი.

ss და ß — ს: Lessing — ლესინგ-ი, Fluss ან Fluß — ფლუს-ი.

st — სტ (სიტყვის თავში — შტ): Stephan — შტეფან-ი, Steiner — შტაინერ-ი.

th — თ: Lothar — ლოთარ-ი, Abendroth — აბენდროთ-ი, Thüringen — თიურინგია, მაგრამ (ტრადიციის გამო) **ტ**: Thälmann — ტელმან-ი.

tz — ც: Fritz — ფრიც-ი, Moritz — მორიც-ი, Leisewitz — ლაიზევიც-ი.

u — უ: Ludwig — ლუდვიგ-ი, Gluck — გლუკ-ი.

ü — იუ: Büchner — ბიუხნერ-ი, Lübeck — ლიუბეკ-ი.

v (გერმანულ სახელებში) — **ფ**: Bremerhaven — ბრემერჰაფენ-ი, Vogt — ფოგტ-ი, Vogel — ფოგელ-ი.

v (უცხო წარმოშობის სახელებში) — **ვ**: Crivitz — კრივიც-ი.

x — ქს: Axel — აქსელ-ი, Alex — ალექს-ი.

y — ი: Ryck — რიკ-ი.

z — ც: Salzburg — ზალცბურგ-ი, Zimmerwald — ციმერვალდ-ი.

დანიური

ch — კ: Christopher — კრისტოფერ-ი, Christian — კრისტიან-ი (და არა: ქრისტოფერ-ი, ქრისტიან-ი).

d (ზოგჯერ არ იკითხება): Richard — რიჩარ-ი, Nordskov — ნორსკოუ-ი, Gunhild — გუნჰილ-ი.

eg — აი: Hegn — ჰაინ-ი.

hj — ი: Hjalf — იალფ-ი.

nd — ნ: Hjortlund — იორტლუნ-ი, Linderstrøm-Lang — ლინერსტრემ-ლანგ-ი.

s — ს: Ågesen — ოგესენ-ი.

sj — შ: Sjaellander — შელანერ-ი.

ø ან ö — ე: Brøndal — ბრენდალ-ი, Ørsted — ერსტედ-ი, Bergstrøm — ბერგსტრემ-ი.

å ან aa — ო: Ålborg — ოლბორგ-ი.

ესპანური

c (e, i, y-ს წინ) — ს: Cesar — სესარ-ი, Andalucia — ანდალუსია, Algeciras — ალხესირას-ი, Asuncion — ასუნსიონ-ი.

c (a, o, u-ს წინ, თანხმოვნების წინ და სიტყვის ბოლოში) — კ: Jalisco — ხალისკო, Costa Rica — კოსტა-რიკა, Cuba — კუბა.

ch — ჩ: Echeverria — ეჩევერია, Chinchilla — ჩინჩილია.

g (a, o, u-ს და თანხმოვნების წინ) — გ: Ygnacio — იგნასიო, Guernica — გერნიკა.

g (e, i-ს წინ) — ხ: Angel — ანხელ-ი, Algeciras — ალხესირას-ი, San Jorge — სანხორხე, Lago Argentino — ლაგო-არხენტინო.

gu (e, i-ს წინ) — გ: Guernica — გერნიკა, Miguel — მიგელ-ი, Guillen — გილიენ-ი.

gu — გუ: Guadalajara — გვადალახარა, Guatemala — გვატემალა, Paraguay — პარაგვაი.

h (არ გამოითქმის): Hector — ექტორ-ი, Huelva — უელვა, Halen — ალენ-ი.
გამონაკლისია: Honduras — ჰონდურას-ი, Haiti — ჰაიტი, La Habana — ჰავანა.

j — ხ: Juan — ხუან-ი, Jorge — ხორხე, José — ხოსე, Guadalajara — გვადალახარა, Jimenes — ხიმენეს-ი.

lla — ლია: Antilla — ანტილია, Sevilla — სევილია, Valladolid — ვალიადოლიდ-ი.

lle — ლიე: Rio Gallegos — რიო-გალიეგოს-ი, Alle — ალიე, Valle del Cauca — ვალიე-დელ-კაუკა.

llo — ლიო: Hermosillo — ერმოსილიო, Trujillo — ტრუხილიო.

llu — ლიუ: Caballuco — კაბალიუკო.

ña — ნია: Cataluña — კატალონია.

ño — ნიო: Marañon — მარანიონ-ი.

ñu — ნიუ: Bañusca — ბანიუსკა.

que — კე: Enrique — ენრიკე, Siqueiros — სიკეიროს-ი.

qui — კი: Quintana — კინტანა, Quito — კიტო.

s — ს: Santa Rosa — სანტა-როსა, Formosa — ფორმოსა, Rosario — როსარიო.

x — ს: Extremadura — ესტრემადურა.

z — ს: Juan Fernandez — ხუან-ფერნანდეს-ი, Fortaleza — ფორტალესა, Zaragoza — სარაგოსა, Cádiz — კადის-ი, Guzman — გუსმან-ი.

ინგლისური

a — ა: Aberystwyth — აბერისტუით-ი, Adams — ადამს-ი, Franklin — ფრანკლინ-ი, Cardiff — კარდიფ-ი.

a — ეი: David — დეივიდ-ი, Davis — დეივის-ი, Graves — გრეივზ-ი.

a — ო: Galsworthy — გოლზუორთი.

a — ე: Birmingham — ბირმინგემ-ი, Jackson — ჯექსონ-ი, Mary — მერ-ი.

ae — ი: Aegis — იჯის-ი, Caesar — სიზარ-ი.

al და ay — ეი: Clay — კლეი, Medway — მედუეი, Gray — გრეი.

al — ე: Cairns — კერნზ-ი.

au და aw — ო: Austin — ოსტინ-ი, Pauling — პოლინგ-ი, Shaw — შო.

c (e, i, y-ს წინ) — **ს**: Cecil — სესილ-ი, Cinderford — სინდერფორდ-ი.

c (სხვა შემთხვევებში) — **კ** (და არა ქ): Catherine — კათრინ-ი (და არა: ქეთრინ-ი), Caistor — კეისტორ-ი, Corwen — კორუენ-ი, Atlantic City — ატლანტიკ-სიტი.

ch — **ჩ**: Chichester — ჩიჩესტერ-ი, Churchill — ჩერჩილ-ი.

ch (ბერძნული და, აგრეთვე, გერმანული წარმოშობის სახელებში) — **კ**: Christina — კრისტინა, Christopher — კრისტოფერ-ი (და არა: ქრისტინა, ქრისტოფერ-ი), Ulrich — ულრიკ-ი.

ck — **კ** (და არა: ქ): Pocklington — პოკლინგტონ-ი, Cockermouth — კოკერმუთ-ი.

dg — **ჯ**: Bridgetown — ბრიჯტაუნ-ი.

e — **ი**: Beresford — ბერისფორდ-ი, Eden — იდენ-ი, Exeter — ექსიტერ-ი.

e — **ე**: Reston — რესტონ-ი, Manchester — მანჩესტერ-ი.

ea — **ი**: Beadnell — ბიდნელ-ი, Deanston — დინსტონ-ი, Seaborg — სიბორგ-ი, Dearborn — დირბორნ-ი.

ea — **ეი**: Breakspear — ბრეიქსპირ-ი.

ee — **ი**: Green — გრინ-ი, Lee — ლი, Peekskill — პიქსკილ-ი, Seebom — სიბომ-ი.

ei — **ი**: O'Neill — ო'ნილ-ი, Keith — კით-ი.

ei — **აი**: Steinbeck — სტაინბეკ-ი.

eu და **ew** — **იუ**: Matthews — მათიუზ-ი, Dewsbury — დიუზბერი.

ew — **უ**: Andrew — ენდრუ (და არა: ენდრიუ)

ew — **უი**: Lewis — ლუის-ი.

ey — **ი**: Sidney — სიდნი.

g (a, o, u-ს წინ და სიტყვის ბოლოში) — **გ**: Donegal — დონეგოლ-ი, Dolgarog — დოლგაროგ-ი.

g (e, i, y-ს წინ) — **ჯ**: George — ჯორჯ-ი, Gerald — ჯერალ-ი, Rogers — როჯერზ-ი.

ზოგჯერ ამ პოზიციაში გამოითქმის როგორც **გ**: Gertrude — გერტრუდ-ი, Gilbert — გილბერტ-ი.

gh — **გ**: Birmingham — ბირმინგემ-ი.

h — **ჰ**: Hillary — ჰილარი, Hubert — ჰიუბერტ-ი, Harrisson — ჰარისონ-ი.

i — **აი**: Caroline — კაროლაინ-ი, Whitehead — უაიტჰედ-ი, Dwight — დუაიტ-ი, Brierly Hill — ბრაიერლი-ჰილ-ი.

i — **ი**: Brighouse — ბრიგჰაუზ-ი, Littleton — ლიტლტონ-ი.

i — **ე**: Firth — ფერთ-ი.

k — **კ** (და არა ქ): Katherine — კათრინ-ი (და არა: ქეთრინ-ი), Keats — კიტს-ი, Kevin — კევინ-ი.

o და **oa** — **ოუ**: Cope — კოუპ-ი, Sevenoaks — სევენოუქს-ი.

o — **ო**: Gordon — გორდონ-ი, Rogers — როჯერზ-ი, Coventry — კოვენტრი.

oe — **ოუ**: Sillitoe — სილიტოუ.

oo — **უ**: Moor — მურ-ი, Goodman — გუდმენ-ი, Blackpool — ბლაკპულ-ი.

ou და **ow** — **აუ**: Grout — გრაუტ-ი, Brownville — ბრაუნვილ-ი, Bower — ბაუერ-ი.

ou — **უ**: Coupar Angus — კუპარ-ანგუს-ი, Bournemouth — ბორნმუთ-ი.

ou — **ა**: Douglas — დაგლას-ი.

ow — **ოუ**: Lowell — ლოუელ-ი.

p — **პ** (და არა: ფ): Portia — პორშია, Parker — პარკერ-ი.

ph — **ფ**: Josephine — ჯოზეფინ-ი, Philip — ფილიპ-ი.

qu — **კუ** (და არა: ქუ): Quine — კუაინ-ი, Quincy — კუინსი.

s — **ს**: Burns — ბერნს-ი, Bakersfield — ბეიკერსფილდ-ი.

s — **ზ**: James — ჯეიმზ-ი, Charles — ჩარლზ-ი, Brisbane — ბრიზბენ-ი, Graves — გრეივზ-ი.

s (ზოგჯერ არ გამოითქმის): Long Island — ლონგ-აილენდ-ი.

sh — **შ**: Shakespeare — შექსპირ-ი.

ss — **ს**: Furness — ფერნეს-ი.

t — ტ (და არა: თ): Coventry — კოვენტრი, Hubert — ჰიუბერტ-ი.

t (ზოგჯერ არ გამოითქმის): Christmas — კრისმას-ი, Whistler — უისლერ-ი.

tch — ჩ (t არ გამოითქმის): Fletcher — ფლეჩერ-ი, Dutch-Harbour — დაჩ-ჰარბორ-ი.

th — თ: Arthur — ართურ-ი, Elizabeth — ელიზაბეთ-ი, Jonathan — ჯონათან-ი, Macbeth — მაკბეთ-ი, Catherine — კათრინ-ი, Thornton — თორნტონ-ი, Thackeray — თეკერეი, Plymouth — პლიმუთ-ი.

th — დ: Sutherland — სადერლენდ-ი.

th — ზ: Rutherford — რეზერფორდ-ი.

th (რამდენიმე სახელში) — ტ: Anthony — ანტონი, Thomas — ტომას-ი, Thames — ტემზა, Theresa — ტერეზა.

tz — ც: Fitzgerald — ფიცჯერალდ-ი.

u — უ: Arthur — ართურ-ი, Julian — ჯულიან-ი.

u — ოუ: Canute — კანიუტ-ი, Hubert — ჰიუბერტ-ი, Dunkerque — დიუნკერკ-ი, Butle — ბიუტ-ი.

u — ა: Butler — ბატლერ-ი, Russell — რასელ-ი, Sullivan — სალივან-ი, Sumner — სამნერ-ი.

u — ე: Churchill — ჩერჩილ-ი; Ogburn — ოგბერნ-ი, Burbank — ბერბანკ-ი.

w — უ: William — უილიამ-ი, Wellington — უელინგტონ-ი, Warren — უორენ-ი, Windsor — უინძორ-ი.

w — ჯ: Washington — ვაშინგტონ-ი, Darwin — დარვინ-ი.

x — ქს: Oxford — ოქსფორდ-ი.

x — გზ: Alexander — ალეგზანდერ-ი.

y — აი: Dyson — დაისონ-ი, Argyll — არგაილ-ი, Bryce Canyon — ბრაის-კანიონ-ი.

y — ე: Byrd — ბერდ-ი, Byrne — ბერნ-ი.

z — ზ: Elizabeth — ელიზაბეთ-ი.

იტალიური

c (a, o, u-ს და თანხმოვნების წინ) — კ: Cadore — კადორე, Cursolo — კურსოლო, Macchi — მაკი.

c (e, i-ს წინ) — ჩ: Cesare — ჩეზარე, Cimarosa — ჩიმაროზა.

cc — კ: Dallapiccola — დალაპიკოლა.

cc — ჩ: Boccaccio — ბოკაჩო, Vespucci — ვესპუჩი, Contucci — კონტუჩი.

ch — კ: Cherubini — კერუბინი, Michele — მიკელე, Schipa — სკიპა, Chiuro — კიურო, მაგრამ Michelangelo — მიქელანჯელო, Archangelo — არქანჯელო.

cch — კ: Zecchi — ცეკი, Verrocchio — ვეროკიო, Sacchetti — საკეტი.

g (a, o, u-ს და თანხმოვნების წინ) — გ: Guttuso — გუტუზო, Grana — გრანა.

g (e, i-ს წინ) — ჯ: Agira — აჯირა, Germanetto — ჯერმანეტო.

gh — გ: Alighieri — ალიგიერი, Quarenghi — კვარენგი.

gia — ჯა, gio — ჯო: Giacomo — ჯაკომო, Giorgione — ჯორჯონე.

gna — ნია: Agnana — ანიანა.

gno — ნიო: Vignola — ვინიოლა.

gu — გუ: Guasila — გუასილა, Guerrazi — გუერაც-ი.

gu — გუ: Guarneri — გვარნერი.

l (უმახვილო) — c-ს შემდეგ არ გამოითქმის: Maggio — მაჯო, Riccioli — რიჩოლი.

qu — კუ: Quasimodo — კვაზიმოდო, Quercia — კვერჩა.

s — ს: Secchi — სეკი, Chiusdino — კიუსდინო, De Amicis — დე ამიჩის-ი.

s — ზ: Ysola — იზოლა, Cimarosa — ჩიმაროზა, Smeraldi — ზმერალდი, Della Casa — დელა კაზა.

sc (a, o, u-ს წინ) — სკ: Bosco — ბოსკო.

sc (e, i-ს წინ) — შ: Scicolone — შიკოლონე, Scisciaro — შიშარო.

z და zz — ც: Zacconi — ცაკონი, Zappa — ცაპა, Bozzole — ბოცოლე.

z და zz — ძ: Mazzini — მაძინი, Lazzari — ლაძარი (ლაცარი), Verzone — ვერძონე.

ნორვეგიული

aa — ო: Vesaas — ვესოს-ი.

au — ეუ: Aursand — ეურსან-ი, Haugesund — ჰეუგესუნ-ი.

g — გ: Sigurd — სიგურდ-ი.

g — ი: Egner — ეინერ-ი.

g (ზოგჯერ არ იკითხება): Gjaerder — იერდერ-ი.

ie — ი: Grieg — გრიგ-ი.

k — კ: Kommandantvold — კომანდანტვულ-ი.

ki და kj — ხი: Kielland — ხიელან-ი, Kielstadli — ხიელსტადლი.

ld — ლ: Kommandantvold — კომანდანტვულ-ი.

nd — ნ: Øverland — ეევერლან-ი.

o — ო: Oslo — ოსლო.

o — უ: Kommandantvold — კომანდანტვულ-ი, Evensmo — ეევნსმუ

sch — სკ: Schou — სკოუ.

sj — შ: Sjøberg — შებერგ-ი.

sk — სკ: Skouen — სკოუენ-ი, Skre — სკრე.

skl, skj — შ, Skien — შიენ-ი, Skjerper — შერპერ-ი, Werenskiold — ვერენშიოლ-ი.

tj — ხ: Tjølling — ხელინგ-ი.

å — ო: Istgård — ისტგორდ-ი.

ø — ე: Bodo — ბუდე, Bømlo — ბემლო, Grønland — გრენლანდია.

პოლონური

ą — ომ: Dąbrowska — დომბროვსკა.

ą — ონ: Kątski — კონტსკი.

c (ყველა შემთხვევაში) — ც: Cetner — ცეტნერ-ი, Stobiecki — სტობიეცკი, Solec — სოლეც-ი.

ch — ხ: Chamiec — ხამიეც-ი.

cz — ჩ: Czerniatowicz — ჩერნიატოვიჩ-ი, Leszczynski — ლეშჩინსკი.

drz — ჯ: Andrzej — ანჯეი.

o — უ: Jelenia Góra — ელენია-გურა.

rz — შ: Przybyszewski — ფშიბიშევსკი.

rz — ჟ: Brzeg — ბჟეგ-ი, Kazimierz — კაზიმიეჟ-ი, Bzytka — ბჟიტკა, Bobrzynski — ბობჟინსკი.

sz — შ: Leszczynski — ლეშჩინსკი, Szymon — შიმონ-ი, Lukasz — ლუკაშ-ი, Szymanowski — შიმანოვსკი, Warszawa — ვარშავა.

z — ზ: Zbigniew — ზბიგნიევ-ი, Zielona Góra — ზიელონა-გურა.

z — ჟ: Zulawski — ჟულავსკი.

პორტუგალიური

ã — ან: Meã — მეან-ი.

ão — ან: Tristão — ტრისტან-ი, Garção — გარსან-ი, São Paulo — სან-პაულუ

c (a, o, u-ს და თანმხოვნების წინ, b, d, p, t-ს გარდა) — კ: Cabral — კაბრალ-ი, Curral — კურალ-ი.

c (e, i-ს წინ) — **ს**: Celso — სელსუ, Cidadela — სიდადელა.

c (b, d, p, t-ს წინ) არ გამოითქმის: Octavio — ოტავიუ, Victoria — ვიტორია.

e — **ე**: Hernani — ერნანი, Peneda — პენედა.

e — **ი**: Belo Horizonte — ბელუ-ორიზონტი, Flores — ფლორიშ-ი, Jorge — ჟორჟი.

g (a, o, u-ს წინ) — **გ**: Gastão — გაშტან-ი, Gustavo — გუშტავუ.

g (e, i-ს წინ) — **ჟ**: Gilberto — ჟილბერტუ, Lagedo — ლაჟედუ.

h (არ იკითხება): Belo Horizonte — ბელუ-ორიზონტი, Hernani — ერნან-ი.

j — **ჟ**: Baixo Alentejo — ბაიშუ-ალენტეჟუ, Jorge — ჟორჟი.

lhe — **ლიე**: Guilherme — გილიერმი.

lho — **ლიუ**: Fialho — ფიალიუ.

m — **მ**: Menton — მენტონ-ი, Humberto — უმბერტო.

m — **ნ**: Bomfim — ბონფინ-ი, Joaquim — ჟუაკინ-ი, Belem — ბელენ-ი.

nha — **ნია**: Saldanha — სალდანია.

nhu — **ნიუ**: Garanhuns — გარანიუნშ-ი, Curralinho — კურალინიუ.

o — **ო**: Orlando — ორლანდუ.

o — **უ**: Joaquim — ჟუაკინ-ი, Soares — სუარეშ-ი, Ricardo — რიკარდუ, Amado — ამადუ.

õe — **ოინ**: Simões — სიმოინშ-ი.

qu — **კ**: Queluz — კელუშ-ი, Joaquim — ჟუაკინ-ი.

s — **ს**: Sales — სალიშ-ი, Monserrate — მონსერატი.

s (ორ ხმოვანს შორის) — **ზ**: Aloisio — ალოიზიუ, Trancoso — ტრანკოზუ, Isabel — იზაბელ-ი.

s — **შ** (ბრაზილიურ სახელებში — **ს**): Cristino — კრიშტინუ (ბრაზილ.: კრისტინუ), Vasco — ვაშკუ (ბრაზილ.: ვასკუ).

s — **ჟ** (ბრაზილიურ სახელებში — **ს**): Caldas Novas — კალდაჟ-ნოვას-ი (ბრაზილ.: კალდას-ნოვას-ი), Três Lagoas — ტრეჟ-ლაგოაშ-ი (ბრაზილ: ტრეს-ლაგოას-ი).

th — **თ**: Theo — თეუ, Ruth — რუთ-ი, Catharina — კათარინა.

x — **ზ**: Exalte — ეზალტი.

x — **შ**: Xavier — შავიერ-ი, Maximiano — მაშიმიანუ, Porto Alexandre — პორტუ-ალეშანდრი.

z — **ზ**: Ezalte — ეზალტი, Belo Horizonte — ბელუ-ორიზონტი.

z — **შ** (ბრაზილიურ სახელებში — **ს**): Luizburgo — ლუიშბურგუ (ბრაზილ.: ლუისბურგუ), Queluz — კელუშ-ი (ბრაზილ.: კელუს-ი).

რუმინული

ă — **ე**: Bistrița-Năsăud — ბისტრიცა-ნესეუდ-ი, Vlahuță — ვლაპუცე, Bacău — ბაკეუ.

c (a, o, u-ს წინ, თანხმოვნების წინ და სიტყვის ბოლოს) — **კ**: Camil — კამილ-ი, Nicoleta — ნიკოლეტა.

c (e, i-ს წინ) — **ჩ**: Cezar — ჩეზარ-ი, Donici — დონიჩ.

ch — **კ**: Michaela — მიკაელა; Chira — კირა, Costache — კოსტაკე, Nichita — ნიკიტა.

cea და **cia** — **ჩა**: Suceava — სუჩავა, Marcian — მარჩან-ი.

clu — **ჩუ**: Vinciu — ვინჩუ.

g (a, o, u-ს წინ, თანხმოვნების წინ და სიტყვის ბოლოს) — **გ**: Grigore — გრიგორე.

g (e, i-ს წინ) — **ჯ**: Argeș — არჯეშ-ი, Virginia — ვირჯინია.

gh (e, i-ს წინ) — **გ**: Gheorghe — გეორგე, Harghita — ჰარგიტა.

h — **ჰ**: Mihai — მიჰაი.

h (ზოგჯერ არ გამოითქმის): Băile Herculane — ბეილე-ერკულანე.

ll (სიტყვის ბოლოში) — **ი**: Cocoreştii-Colţ — კოკორეშტი-კოლც-ი, Ploeştii — პლოეშტი.

j — **ჟ**: Cujmir — კუჟმირ-ი, Lugoj — ლუგოჟ-ი, Dolj — დოლჟ-ი.

s — **ს**: Sanda — სანდა, Constantin — კონსტანტინ-ი.

ş — **შ**: Argeş — არჟეშ-ი, Braşov — ბრაშოვ-ი, Ploeştii — პლოეშტი.

t — **ტ**: Timişoara — ტიმიშოარა.

ţ — **ც**: Bistriţa — ბისტრიცა, Constanţa — კონსტანცა, Jalomiţa — იალომიცა.

th — **თ**: Theodor — თეოდორ-ი.

z — **ზ**: Zoe — ზოე, Suzana — სუზანა.

უნგრული

e (e, i, y-ს წინ)— **ხ**: Francis — ფრანსის-ი, Marcel — მარსელ-ი.

ch — **შ**: Charles — შარლ-ი, Richard — რიშარ-ი.

ch — **კ**: Christiane — კრისტიან-ი (და არა: ქრისტიან-ი).

d — **დ** (ფრანგული სახელების ბოლოში ჩვეულებრივ არ გამოითქმის): Fernand — ფერნან-ი, Gounod — გუნო, Rolland — როლან-ი, Gerard — ჟერარ-ი; მაგრამ: David — დავიდ-ი, Alfred — ალფრედ-ი, Sand — სანდ-ი.

e — **ე** (სიტყვის ბოლოში, ზოგჯერ კი სიტყვის შუაშიც არ გამოითქმის, თუ არა აქვს რაიმე დიაკრიტული ნიშანი): Emile — ემილ-ი, Gustave — გიუსტავ-ი, Diderot — დიდრო, Baudelaire — ბოდლერ-ი, Rabelais — რაბლე; მაგრამ: Littré — ლიტრე.

c (ყველა შემთხვევაში) — **ც**: Cuca — ცუცა, Vönöck — ვენეც-ი.

cs — **ჩ**: Gyurkovics — დიურკოვიჩ-ი, Békéscsaba — ბეკეშჩაბა, Lukács — ლუკაჩ-ი.

eö — **ე**: Eötvös — ეტვეშ-ი.

gy — **დჟ**: Gyula — დიულა, Gyurkovics — დიურკოვიჩ-ი, Megyer — მედიერ-ი, Nagykörös — ნადიკერეშ-ი.

ly — **ი**: Károly — კაროი, Mihaly — მიჰაი.

ő — **ე**: Petőfi — პეტეფი, Öttömös — ეტემეშ-ი, Mezőföld — მეზეფელდ-ი

s და **ss** — **შ**: Békés — ბეკეშ-ი, Sopron — შოპრონ-ი, Lajos — ლაიოშ-ი, Kossuth — კოშუტ-ი.

sz — **ს**: Szeged — სეგედ-ი, Tisza — ტისა, Laszlo — ლასლო, Szabó — საბო.

th — **ტ**: Horthy — ჰორტი-ი, Horvath — ჰორვატ-ი, Kossuth — კოშუტ-ი.

ts — **ჩ**: Derkovits — დერკოვიჩ-ი.

ű — **უ**: Balatonfüred — ბალატონფიურედ-ი.

z — **ზ**: Lázár — ლაზარ-ი, Zoltan — ზოლტან-ი.

zs — **ჟ**: Jozsef — იოჟეფ-ი, Zsuzsa — ჟუჟა, Nagykanizsa — ნადიკანიჟა.

ფრანგული

ai — და **ay** — **ე**: Romaine — რომენ-ი, Du Bellay — დიუბელე, La Fontaine — ლაფონტენ-ი.

au — **ო**: Paul — პოლ-ი, Gaulle — გოლ-ი, Daudet — დოდე, Perrault — პერო.

auld და **ault** — **ო**: La Rochefoucauld — ლაროშფუკო, Boussingault — ბუსენგო, Perrault — პერო.

ay — **აი**: Raymond — რაიმონ-ი.

ay — **ეი**: Raynal — რეინალ-ი.

c (a, o, u-ს წინ, თანხმოვნების წინ და სიტყვის ბოლოში) — **კ**: Claude — კლოდ-ი, Pascal — პასკალ-ი, Jeanne d'Arc — ჟან დ'არკ-ი.

eau — **o**: Bordeau — ბორდო, Rousseau — რუსო, Chateaubriand — შატობრიან-ი, Beaumarches — ბომარშე.

ei და **ey** — **e**: Beine — ბენ-ი, Montmirey — მონმირე.

ei და **ey** — **ei**: Reynaud — რეინო.

em — **ამ**: Montalembert — მონტალამბერ-ი, Sembat — სამბა.

en — **ან, ენ**: Henri — ანრი, Noulens — ნულანს-ი, Senderans — სანდერან-ი, d'Entrecasteau — დ'ანტრკასტო.

eu — **ე**: Eugéne — ეუენ-ი, Babeuf — ბაბეფ-ი, Pasteur — პასტერ-ი, Montesquieu — მონტესკიე, Richelieu — რიშელიე.

g (**a**, **o**, **u**-ს, და თანხმოვნების წინ) — **გ**: Auguste — ოგიუსტ-ი, Gaston — გასტონ-ი.

g (**e**, **i**, **y**-ს წინ) — **ჟ**: Germain — ჟერმენ-ი, Georges — ჟორჟ-ი.

g (სიტყვის ბოლოს ჩვეულებრივ არ გამოითქმის): Cherbourg — შერბურ-ი.

geo — **ჟო**: Geoffroy — ჟოფრუა

gn (ჩვეულებრივ სიტყვის შუაში ხმოვნის წინ) — **ნი**: Avignon — ავინიონ-ი, Cognac — კონიაკ-ი, Du Vigneaud — დიუ ვინი.

gne (სიტყვის ბოლოში) — **ნ**: Bretagne — ბრეტან-ი, Boulogne — ბულონ-ი, Bourgogne — ბურგონ-ი, Charlemagne — შარლემან-ი.

gh — **გ**: Le Burghet — ლე-ბიურგე.

gu (ხმოვნების წინ) — **გ**: Guy — გი, Péguy — პეგ-ი.

gu (თანხმოვნების წინ და სიტყვის ბოლოს) — **გიუ**: Gustave — გიუსტავ-ი, Auguste — ოგიუსტ-ი.

h (ფრანგულში ჩვეულებრივ არ გამოითქმის): Hélène — ელენ-ი, Henri — ანრი, Cahen — კაენ-ი, Hector — ექტორ-ი; მაგრამ: Hugo — ჰიუგო, Havre — ჰაერ-ი.

II და **III** (ხმოვნის შემდეგ) — **ი**: Excideuil — ექსიდეი, Aurelile — ორეი, Rambouillet — რამბუიე.

III (თანხმოვნის შემდეგ) — **იი**: Guillaume — გიიომ-ი, მაგრამ Grandville — გრანვილ-ი.

in — **ენ**: Dullin — დიულენ-ი, Vincent — ვენსან-ი, Rodin — როდენ-ი, Chardin — შარდენ-ი, Cachin — კაშენ-ი.

j — **ჟ**: Jules — ჟიულ-ი, Anjou — ანჟუ.

la — **ლა**: Abelard — აბელარ-ი, Labourbe — ლაბურბ-ი.

lu — **ლუ**: Lully — ლული, Eluard — ელუარ-ი, Blume — ბლუმ-ი.

m — **მ**: Ampére — ამპერ-ი, d'Alambert — დ'ალამბერ-ი.

m — **ნ**: Comte — კონტ-ი, Amfreville — ანფრევილ-ი.

mb — **ნ**: Coulomb — კულონ-ი.

oe (**œ**) და **oeu** (**œu**) (სიტყვის თავში და ხმოვნის შემდეგ) — **ე**: Œrlicon — ერლიკონ-ი, Œutrange — ეტრანჟ-ი, Sacré-Cœur — საკრე-კერ-ი.

oi — **უა**: Antoine — ანტუან-ი, Dubois — დიუბუა, Grégoire — გრეგუარ-ი, Loire — ლუარა, Lavoisier — ლავუაზიე.

ou — **უ**: Decour — დეკურ-ი, Pompadour — პომპადურ-ი.

ph — **ფ**: Philippe — ფილიპ-ი, Joseph — ჟოზეფ-ი.

que — **კ**: Loire-Atlantique — ლუარ-ატლანტიკ-ი.

r — **რ** (სიტყვის ბოლოში ხან გამოითქმის, ხან — არა): Renoir — რენუარ-ი, Victor — ვიქტორ-ი; Berger — ბერჟე, Roger — როჟე, Beranger — ბერანჟე, Granger — გრანჟე.

s (სიტყვის თავში და თანხმოვნის წინ) — **ს**: Serge — სერჟ-ი, Justine — ჟიუსტინ-ი.

s (ორ ხმოვანს შორის) — **ზ**: Josephine — ჟოზეფინ-ი.

s (ფრანგული სახელების ბოლოში ჩვეულებრივ არ გამოითქმის): Dumas — დი-

უმა, Louis — ლუი, Charles — შარლ-ი, Arles — არლ-ი, Artois — არტუა; მაგრამ: Jaurès — ჟორეს-ი, Saint-Saëns — სენ-სანს-ი.

s — **ს** (**l**, **m**, **n**-ის წინ, სიტყვის შუაში, ხშირად არ გამოითქმის): Isle-Jourdain — ილ-ჟურდენ-ი, Rouget de Lisle — რუჟე დე ლილ-ი, Lebesgue — ლებეგ-ი.

t — **ტ**: Tristan — ტრისტან-ი, Gautier — გოტიე.

t (სიტყვის ბოლოში ჩვეულებრივ არ გამოითქმის): Belfort — ბელფორ-ი, Goncourt — გონკურ-ი, Daudet — დოდე, Bleriot — ბლერიო, Duguit — დიუგ-ი; მაგრამ Brest — ბრესტ-ი, Marat — მარატ-ი.

th — **ტ**: Arthur — არტიურ-ი, Barthou — ბარტუ, Thorez — ტორეზ-ი, Thibaud — ტიბო; მაგრამ: Berthollet — ბერთოლე, Théophile — თეოფილ-ი, Théodor — თეოდორ-ი.

tz (სიტყვის ბოლოში ზოგჯერ არ გამოითქმის): Beaumetz — ბომე.

tz (სიტყვის ბოლოში ხშირად) — **ს**: Retz — რეს-ი, Jametz — ჟამეს-ი.

u — **იუ**: Dumas — დიუმა, Camus — კამიუ, Duvalier — დიუვალიე, Dubois — დიუბუა.

un — **ენ**: — Lebrun — ლებრენ-ი.

x — **ქს**: Xavier — ქსავიე, Luxembourg — ლუქსემბურგ-ი.

x — **გზ**: Saint-Exupéry — სენტ-ეგზიუპერი.

x — **ს**: Xertigny — სერტინი, Auxerre — ოსერ-ი.

x (სიტყვის ბოლოში არ გამოითქმის): Delacroix — დელაკრუა.

z — **ზ**: Zola — ზოლა.

z (ფრანგული სიტყვების ბოლოში ზოგჯერ არ გამოითქმის): Valdonnez — ვალდონე, Odomez — ოდომე.

შვედური

ah — **ა**: Sieghahn — სიგბან-ი, Svahnström — სვანსტრემ-ი.

ch — **კ**: Erich — ერიკ-ი.

dj (სიტყვის თავში) — **ი**: Djurberg — იურბერგ-ი.

gi — **იი**: Gidlung — იიდლუნგ-ი.

gä — **ე**: Gällivare — ელივარე, Gärdstam — ერდსტამ-ი.

gö — **ი**: Götherström — იეთერსტრემ-ი.

gy — **იუ**: Gyllensten — იულენსტენ-ი.

h — **ჰ**: Hylander — ჰიულანდერ-ი.

hj — **ი**: Hjälmaren — იელმარენ-ი, Hjorth — იორთ-ი.

ie — **ი**: Sieghahn — სიგბან-ი.

k — **კ**: Kalling — კალინგ-ი.

k — **ჩ**: Kjellberg — ჩელბერგ-ი.

o — (ზოგჯერ) **უ**: Borås — ბუროს-ი, Örebro — ერებრუ, Lo-Johansson — ლუ-იუ ჰანსონ-ი.

s — **ს**: Sieghahn — სიგბან-ი.

sk — **შ**: Skjöld — შელდ-ი.

y — **ი**: Ylander — ილანდერ-ი.

y (თანხმოვნის შემდეგ) — **იუ**: Hylander — ჰიულანდერ-ი, Almeby — ელმებიუ, Byskeälv — ბიუსკეელვ-ი.

å — **ო**: Borås — ბუროს-ი, Västerås — ვესტეროს-ი, Skellefteå — შელეფტეო.

ä — **ე**: Älmeby — ელმებიუ, Borlänge — ბურლენგე, Västerås — ვესტეროს-ი.

ö — **ე** (და არა: **ი**): Göteborg — გეტებორგ-ი, Malmö — მალმე, Angström — ონგსტრემ-ი.

ჩეხური

c — **ც**: Ciprova — ციპროვა, Třeblicki — ტრშებლიცკი.

č — **ჩ**: Kabiček — კაბიჩეკ-ი, Poláček — პოლაჩეკ-ი.

ch — **ხ**: Mudroch — მუდროხ-ი, Pichlik — პიხლიკ-ი.

h — ჰ: Kohout — კოჰოუტ-ი, Hašek — ჰაშეკ-ი, Mahačkova — მაჰაჩკოვა.
r — რ: Ciprova — ციპროვა, Zaruba — ზარუბა.
ř — რჟ: Řada — რჟადა, Řezáč — რჟეზაჩ-ი.
ř — რშ: Třeblicki — ტრშებლიცკი.
s — ს: Kozusky — კოზუსკი.
ś — შ: Aleś — ალეშ-ი, Ambruś — ამბრუშ-ი.
z — ზ: Zaruba — ზარუბა, Zazvorka — ზაზვორკა.
ż — ჟ: Žižka — ჟიჟკა, Domažlice — დომაჟლიცე.

პოლანდიური

aa — ა: Breebaart — ბრებარტ-ი.
ae — ა: Aerstens — არსტენს-ი, Bogaerts — ბოგარტს-ი.
e (e, i, y-ს წინ) — ს: Arcen — არსენ-ი.
c (ყველა სხვა შემთხვევაში) — კ: Coolen — კოლენ-ი.
ch — ხ: Schildpad — სხილდპად-ი, Schidam — სხიდამ-ი.
ck — კ: Jonckheere — იონკჰერე, Jackijst — იაკეისტ-ი.
ckx — ქს: Amelinckx — ამელინქს-ი, Blockx — ბლოქს-ი.
ee — ე: Breebaart — ბრებარტ-ი, Eeden — ედენ-ი.
eu — ე: Beunke — ბენკე, Beuzemaker — ბეზემაკერ-ი.
ew — ეო: Euwe — ეოვე.
h — ჰ: Haasse — ჰასე.
ie — ი: Rogier van der Weyden — როგირ ვან დერ ვეიდენ-ი.
ij — ეი: Burkij-Bartelink — ბიურკეი-ბარტელინკ-ი, Beervijk — ბეერვეიკ-ი.
oe — უ: Goes — გუს-ი.
oo — ო: Coolen — კოლენ-ი, Amersfoort — ამერსფორტ-ი.
th — თ: Beth — ბეთ-ი.
tius — ციუს: Grotius — გროციუს-ი.
u — იუ: Buntinx — ბიუნტინქს-ი, Hilversum — ჰილვერსიუმ-ი.
ui — ეი: Buiskool — ბეისკოლ-ი, Kruissink — კრეისინკ-ი.
z — ზ: Dozy — დოზი.

• • •

რაც შეეხებოდა უცხოური საკუთარი სახელების ქართული დაწერილობა და წარმოთქმის ტრადიციითაა განპირობებული. მაგ., ფრანგ. Paris — პარიზი (და არა პარი), Hugo — ჰიუგო (და არა იუგო), Marat — მარატი (და არა მარა), ინგლ. Darwin — დარვინი (და არა დარუინი), Shakespeare — შექსპირი (და არა: შეიქსპირი ან შეიქსპიარი), Washington — უაშინგტონი (და არა: ვოშინგტონი) და ა.შ.

უცხო ენებიდან ქართულად გადმოდის: x (cs, ks) — ქს, ps — ფს, ct (kt) — ქტ (და არა: კს, პს, კტ)[1]

უცხო წარმოშობის სიტყვებში ასევეა: ქშ, ფშ, ქჩ, ფჩ, ფც (და არა: კშ, პშ, კჩ, პჩ, პც): იორკ Jorkshire — იორქშირი, New Hampshire — ნიუ-ჰემფშირ-ი, პოლონ Przybyszewski — ფშიბიშევსკი, Lapczinski — ლაფჩინსკი, Kszisztof — ქშიშტოფ-ი, გერმ. Leipzig — ლაიფციგ-ი და ა.შ.

განმარტებული ტრადიციის მიხედვით დაცვა ალარ იწვევს ის, რომ უცხო სიტყვა

[1] იხ. ოთარ ჭილაძე, ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ. 1970 და 1986.

18 (და, კერძოდ, საკუთარი სახელი), რომელშიც გაორმაგებული თანხმოვანია, ქართულში გადმოდის ერთი თანხმოვნით: ll — ლ, mm — მ, nn — ნ, rr — რ, tt — ტ და ა.შ. ფრანგ. Apollinaire — აპოლინერ-ი, Cézanne — სეზან-ი, Massenet — მასნე, ინგლ. Sierra Nevada — სიერა-ნევადა, გერმ. Wassermann — ვასერმან-ი, Zimmerwald — ციმერვალდ-ი, Lübeck — ლიუბეკ-ი, იტალ. Dallapiccola — დალაპიკოლა და ა.შ.

ქ ა რ თ უ ლ ი ა ნ ბ ა ნ ი

ასო	სახელწ.	ასო	სახელწ.	ასო	სახელწ.
ა	ან	მ	მან	ღ	ღან
ბ	ბან	ნ	ნარ	ყ	ყარ
გ	გან	ო	ონ	შ	შინ
დ	დონ	პ	პარ	ჩ	ჩინ
ე	ენ	ქ	ქან	ც	ცან
ვ	ვინ	რ	რაე	ძ	ძილ
ზ	ზენ	ს	სან	წ	წილ
თ	თან	ტ	ტარ	ჭ	ჭარ
ი	ინ	უ	უნ	ხ	ხან
კ	კან	ფ	ფარ	ჯ	ჯან
ლ	ლას	ქ	ქან	ჰ	ჰაე

ა

აალტო (Aalto) ალვარ ჰუგო ჰენრიკ — ფინელი არქიტექტორი (1898 — 1976)

აალტონენ-ი (Aaltonen) ვიაინიო ვალდემარ — ფინელი მოქანდაკე (1894 — 1966)

აარნე (Aarne) ანტი ამატუს — ფინელი ფოლკლორისტი (1867 — 1925)

აბათაი-ხან-ი — მონღოლი მთავარი (1534 — 1586)

აბანიანო (Abbagnano) ნიკოლა — იტალიელი ფილოსოფოსი (დ. 1901)

აბას I, შაჰ-აბასი — ირანის შაჰი (1571 — 1629)

აბას II — ირანის შაჰი (1633 — 1666)

აბახ-ი ფურჰათ — ალჟირის პოლიტ. და სახელმწ. მოღვაწე (1899 — 1985)

აბახ-ი ხოჯა აჰმად — ინდოელი პროდიუსერი, კინორეჟისორი, სცენარისტი, მწერალი (დ. 1914)

აბახიანები — არაბი ხალიფების დინასტია (750 — 1258)

აბახ იბნ ალ-ახნაფ-ი აბუ ლ-ფადლ — არაბი პოეტი (750 — დაახლ. 808)

აბახ მარვაზი — სპარსულ-ტაჯიკური პოეზიის წარმომადგენელი (გ. დაახლ. 815)

აბახ მაჰმუდ ალ-აკად-ი — არაბი მწერალი (ეგვიპტე) (1889 — 1964)

აბახ-მირზა — ირანის სახელმწ. მოღვაწე (1789 — 1833)

აბაღა-ხან-ი — ირანის მონღოლი გამგებელი (1234 — 1282)

აბდ ალ-კადირ-ი — ალჟირის ეროვნული გმირი (1808 — 1883)

აბდ ალ-ლაჰ იბნ ალ-ზუბაირ-ი — არაბი პოლიტ. მოღვაწე (624 — 692)

აბდ ალ-ლაჰ იბნ ალ-მუკაფა, იხ. იბნ ალ-მუკაფა

აბდ ალ-ლაჰ იბნ ალ-ხაიდ მუჰამად-ი — სუდანის გამგებელი (გ. 1899)

აბდ ალ-ლაჰ იბნ ალ-ფადლ ანტიოქიელი — ქრისტიანი არაბი მწერალი (XI ს.)

აბდ ალ-ლაჰ იბნ ჰუსაინ-ი — იორდანიის მეფე (1882 — 1951)

აბდ ალ-მალიქ იბნ მარვანი — ომაიანთა დინასტიის ხალიფა (646 ან 647 — 705)

აბდ ალ-რაზაყ დუმბული — ირანის სამეფო კარის ისტორიკოსი (1763 — 1828)

აბდ ალ-რაზაყ სამარყანდი — შუაზიელი ისტორიკოსი; წერდა სპარსულ ენაზე (1413—1482)

აბდ ალ-რაჰმან I იბნ მუაყია იბნ ჰიშამ — კორდოვის ომაიანთა დინასტიისა და საამიროს ფუძემდებელი, ამირა (დაახლ. 734 — 788)

აბდ ალ-რაჰმან II იბნ ალ-ჰაქიმ — კორდოვის ამირა (792 — 852)

აბდ ალ-რაჰმან III ალ-ნასირ ად (ძლევამოსილად) წოდებული — კორდოვის ამირა (891 — 961)

აბდ ალ-რაჰმან ალ-შარქავი, იხ. ალ-შარქავი

აბდ ალ-რაჰმან მომანდ-ი, რაჰმან ბაბა — ავღანელი პოეტი (1632 — 1706)

აბდ ალ-სამად-ი — ინდოელი მინიატიურისტი და კალიგრაფი (გ. 1593-ის შემდეგ)

აბდ ალ-ჭარიმ-ი — მაროკოს პოლიტ. და სახელმწ. მოღვაწე (1881 ან 1882 — 1963)

აბდ ალ-ყადირ-ხან ხათაჭ-ი — აღლანელი პოეტი (1651 დაახლ. 1702)

აბდ ალ-ჰამიდ მომანდ-ი — აღლანელი პოეტი (1660 1732)

აბდერჰალდენ-ი (Abderhalden) ემილ — შვეიცარიელი ბიოქიმიკოსი და ფიზიოლოგი (1877 — 1950)

აბდო მუჰამად, იხ. მ უ ჰ ა მ ა დ ა ბ დ ო

აბდულა გორან-ი (სრული სახელი — აბდულა სულეიმან გ ო რ ა ნ ი) — ქურთი პოეტი (ერაყი) (დ. 1904)

აბდულაზიზ-ი (Abdülaziz) — ოსმალეთის სულთანი (1830 — 1876)

აბდულაჰ ბინ აბდულკადირ მუნში (Abdullah bin Abdulkadir Munşji) — მალაიელი მწერალ-განმანათლებელი (1796 — 1854)

აბდულ მუის-ი (Abdul Muis) — ინდონეზიელი მწერალი და ჟურნალისტი (1886 — — 1959)

აბდულ რაჰმან-ი (Abdul Rahman) ტენკუ აბდულ რაჰმან პუტრა ალ-ჰაჯ — მალაიზიის პოლიტ. და სახელმწ. მოღვაწე (დ. 1903)

აბდულქერიმ ნადირ-ფაშა (Abdülkerim Nadir Paşa) — თურქი მარშალი (1807 — 1885)

აბდულჰამიდ II (Abdülhamid) — ოსმალეთის სულთანი (1842 1918)

აბდულჰაქ ჰამიდ თარჰან-ი (Abdülhak Hâmit Tarhan) — თურქი მწერალი (1852 — 1937)

აბდურაჰმან-ი — აღლანეთის ამირა (1844 — 1901)

აბდურაჰმან ჰაჟარ-ი — ქურთი პოეტი (ერაყი) (დ. 1920)

აბე (Abbe) ერნსტ — გერმანელი ფიზიკოსი (1840 — 1905)

აბე კობო — იაპონელი მწერალი (დ. 1924)

აბელ-ი (Abell) კელ — დანიელი დრამატურგი (1901 — 1961)

აბელ-ი (Abel) ნილს ჰენრიკ — ნორვეგიელი მათემატიკოსი (1802 — 1829)

აბელ-ი (Abel) ოტენიო — ავსტრიელი პალეონტოლოგი (1875 — 1946)

აბელარ-ი (Abelard, Abailard) პიერ — ფრანგი ფილოსოფოსი, ღვთისმეტყველი, ლოგიკოსი და პოეტი (1079 — 1142)

აბელ-მარდუკ-ი — ახალი ბაბილონის სამეფოს მეფე ძვ. წ. 562 — 559 წლებში

აბენდროთ-ი (Abendroth) ჰერმან — გერმანელი დირიჟორი (1883 — 1956)

აბერდინ-ი (Aberdeen) ჯორჯ ჰამილტონ გორდონ — ინგლისის პოლიტ. მოღვაწე (1784 — 1860)

აბერკრომბი (Abercrombie) ლესლი პატრიკ — ინგლისელი არქიტექტორი (1879 — 1957)

აბერკრომბი (Abercromby) რალფ — დიდი ბრიტანეთის ფელდმარშალი (1734 — 1801)

აბე ტომოძი — იაპონელი მწერალი, კრიტიკოსი, მთარგმნელი (დ. 1903)

აბიხ-ი (Abich) ვილჰელმ ჰერმან [გერმან ვილგელმის (ვასილის) ძე] — გერმანელი გეოლოგი, კავკასიის მკვლევარი (1806 — 1886)

აბოტ-ი (Abbot) ჩარლზ — ამერიკელი ასტროფიზიკოსი (1872 — 1973)

აბრაშევიჩ-ი (Абрашевић) კოსტა — სერბი პოეტი (1879 — 1898)

აბრაჰამს-ი (Abrahams) პიტერ ჰენრი — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ინგლისურენოვანი მწერალი (დ. 1919)

აბსალონ-ი (Absalon) — დანიის სახელმწ. და საეკლ. მოღვაწე (დაახლ. 1128 — 1201)

აბუ ალი იბნ ალ-ჰაისამ-ი, იხ. ი ბ ნ - ა ლ - ჰ ა ი ს ა მ ი

აბუ ალი იბნ სინა, იხ. ი ბ ნ ს ი ნ ა

აბუ ბაქრ-ი აბდ ალ-ლაჰ იბნ უსმან ალ-სიდიყ — არაბთა პირველი ხალიფა (572 ან 573 — 634)

აბუბაცერ-ი, იხ. ი ბ ნ ტ უ ფ ა ი ლ ი

აბუ დაჰბალ ალ-ჯუმაჰი ვაჰბ იბნ ზამა — არაბი პოეტი (გ. 715-ის შემდეგ)

აბუდ მარუნ-ი — არაბი მწერალი, ჟურნალისტი და ლიტერატურათმცოდნე (ლიბანი) (1886 — 1962)

აბუ დულამა ზანდ იბნ ალ-ჯაუნ — არაბი პოეტი (გ. 777)

აბუ დულაფ-ი მისარ იბნ მუჰალქილ ალ-ხაზრაჯი ალ-იანბუი — არაბი პოეტი, მოგზაური და მეცნიერი (X ს.)

აბუ თამამ-ი ჰაბიბ იბნ ავს — არაბი პოეტი (დაახლ. 804 ან 806 — 843 ან 846)

აბუ იუსუფ-ი იაკუბ იბნ იბრაჰიმ ალ-ანსარი ალ-ქუფი — არაბი სამართლისმცოდნე (731 — 798)

აბუ კურა, იხ. თეოდორე აბუ-კურა

აბუ ლ-აბას ალ-საფაჰ-ი — აბასიანთა დინასტიის ფუძემდებელი (724 — 754)

აბუ ლ-ათაჰია აბუ ისჰაკ ისმაილ იბნ ალ-კასიმ იბნ სუვაიდ იბნ ქაისან — არაბი პოეტი (748 — 825)

აბუ ლ-ალა ალ-მაარი, იხ. ალ-მაარი

აბუ ლ-ალა განჯევი მაჰმუდ ნიზამ ალ-დინი — სპარსულენოვანი აზერბაიჯანელი პოეტი (XII ს. I ნახ.)

აბუ ლ-ვაფა მუჰამად იბნ მუჰამად — არაბი ასტრონომი და მათემატიკოსი (940 — 998. სხვა ცნობით — 997)

აბუ ლ-თიმან-ი მუჰამედ ჯაფარ — ერაყის პოლიტ. და სახელმწ. მოღვაწე (1881 — 1945)

აბუ ლ-კასიმ-ი იუსუფ იბნ აბუ ლ-საჯ — სამხრეთ აზერბაიჯანის არაბი ამირა (გ. 927)

აბუ ლ-ფაზლ-ი — ინდოელი მემატიანე და ფილოსოფოსი (1551 — 1602)

აბუ ლ-ფარაჯ-ი, იხ. ბარ ჰებრაია

აბუ ლ-ფარაჯ ალ-ისფაჰანი ალი იბნ ალ-ჰუსაინ იბნ მუჰამად იბნ აჰმად ალ-კურაში — არაბი პოეტი და სწავლული (897 — 967)

აბუ ლ-ფიდა ისმაილ იბნ ალი — არაბი ისტორიკოსი, გეოგრაფი და პოეტი (1273 — 1331)

აბუ მიჰჯან-ი აბდ ალ-ლაჰ იბნ ჰაბიბ — არაბი პოეტი (VII ს.)

აბუ მუსლიმ-ი აბდ ალ-რაჰმან იბნ მუსლიმ — ომაიანების წინააღმდეგ აჯანყებულ ხორასანელთა ბელადი (დაახლ. 727 — 755)

აბუ ნუვას-ი ალ-ჰასან იბნ ჰანი ალ-ჰაქამი არაბი პოეტი (747-სა და 762-ს შორის — 813-სა და 815-ს შორის)

აბუ რაიჰან მუჰამად იბნ აჰმად ალ-ბირუნი, იხ. ალ-ბირუნი

აბუ საიდ-ი ფადლ ალ-ლაჰ იბნ აბუ ლ-ხაირ მეიჰანი — სპარსელი პოეტი, სწავლული, მისტიკოსი (967 — 1049)

აბუ ფირას-ი ალ-ჰამდანი ალ-ჰარის იბნ აბი ლ-ალა საიდ იბნ ჰამდან ალ-თაღლიბი — არაბი პოეტი (932 — 968)

აბუშ-ი (Abusch) ალექსანდერ — გერმანელი პუბლიცისტი, კრიტიკოსი, საზ. მოღვაწე (გდრ) (1902 — 1982)

აბუ შადი აჰმად ზაქი — არაბი მწერალი, ფილოსოფოსი, მთარგმნელი (ეგვიპტე) (1892 — 1955)

აბუ შუჭურ ბალხი — სპარსულ-ტაჯიკური პოეზიის წარმომადგენელი (დ. 915)

აბუ ჰანიფა ალ-ნუმან იბნ საბით — მუსლიმური სამართლის მეცნიერი და ღვთისმეტყველი, ჰანიფიტების სკოლის მამამთავარი (669 — 769)

აბუ ჰანიფა ალ-დინავარი, იხ. ალ-დინავარი

აბჰინავაგუპტა — ინდოელი პოეტი, ლიტერატურისა და ხელოვნების თეორეტიკოსი (X ს. დასასრ. და XI ს. დასაწყ.)

აგათია სქოლასტიკოს-ი (Agathias Scholastikos) — ბიზანტიელი პოეტი და ისტორიკოსი (დაახლ. 536 — დაახლ. 582)

აგათოკლე (Agathokles) — სირაკუსელი ტირანი (ძვ. წ. 361 ან 360—289)

აგათონ-ი (Agathon) — ძვ. ბერძენი დრამატურგი (დაახლ. ძვ. წ. 448 — 397)

აგარდ-ი (Agardh) იაკობ გეორგ — შვედი ბოტანიკოსი (1813 — 1901)

აგარდ-ი (Agardh) კარლ ადოლფ — შვედი ბოტანიკოსი (1785 — 1859)

აგასი (Agassiz) ჟან ლუი რუდოლფ — შვეიცარიელი ბუნებისმეტყველი (1807 — 1873)

აგასის-ი ჟან ლუი როდოლფ, იხ. აგასი ჟ.ლ.რ.

აგელადა (Ageladas) — ძვ. ბერძენი მოქანდაკე (დაახლ. ძვ. წ. 520 — 450)

აგესილაე II (Agēsilaos) — სპარტის მეფე, მხედართმთავარი და დიპლომატი (დაახლ. ძვ. წ. 444/442 — დაახლ. 360/358)

აგიადები (Agiadai) — დინასტია სპარტაში (ძვ. წ. V — III სს.)

აგიეა (ფსევდ.; ნამდვ. სახელი — საჩიდანანდ ჰირანანდ ვატსიაიანი) — ინდოელი მწერალი (დ. 1911)

აგილერა მალტა (Aguilera Malta) დემეტრიო — ეკვადორელი მწერალი (დ. 1909)

აგინალდო (Aguinaldo) ემილიო — ფილიპინების პოლიტ. მოღვაწე (1869 — 1964)

აგირბიჩანუ (Agîrbiceanu) იონ — რუმინელი მწერალი (1882 — 1963)

აგირე ხერდა (Aguirre Cerda) პედრო — ჩილეს პოლიტ. და სახელმწ. მოღვაწე, ადვოკატი (1879 — 1941)

აგის I (Agis) — აგიადების დინასტიის ლეგენდარული დამაარსებელი სპარტაში

აგის II (Agis) — სპარტის მეფე ძვ. 427 ან 426 — 402 ან 401 წლებში

აგის III (Agis) — სპარტის მეფე ძვ. წ. 338 — 331 წლებში

აგის IV (Agis) — სპარტის მეფე (დაახლ. ძვ. წ. 262 — 241)

აგნონ-ი (Agnon) შმუელ იოსებ — ებრაელი მწერალი (1888 — 1970)

აგონსილიო (Agoncillo) ტეოდორო — ფილიპინელი ისტორიკოსი (დ. 1914)

აგოსტი (Agosti) ეჭტორ — არგენტინელი ფილოსოფოსი და ლიტერატურათმცოდნე (დ. 1911)

აგრიკოლა (Agricola) გეორგ (ნამდვ. გვარი — ბაუერი, Bauer) — გერმანელი ექიმი, მინერალოგი და მეტალურგი (1494 — 1555)

აგრიკოლა გნეუს იულიუს (Gneus Iulius Agricola) — რომაელი სახელმწ. მოღვაწე და მხედართმთავარი (40 — 93)

აგრიკოლა (Agricola) მიკაელ (ნამდვ. გვარი — სიმონსონი) — რეფორმაციის მეთაური ფინეთში, ფინური ლიტერატურის მამამთავარი (დაახლ. 1508 ან 1510 — 1557)

აგრიკოლა (Agricola) რუდოლფ (ნამდვ. გვარი — ჰუისმანი, Huysman) — ნიდერლანდელი ჰუმანისტი, ფილოსოფოსი (1443 — 1485)

აგრიპა (Agrippa) — რომაელი ფილოსოფოსი (I — II სს.)

აგრიპა მარკუს ვიფსანიუს (Marcus Vipsanius Agrippa) — რომაელი მხედართმთავარი და სახელმწ. მოღვაწე (დაახლ. ძვ. წ. 63 — 12)

აგრიპა ნეტესჰაიმელი (Agrippa von Nettesheim, ნამდვ. სახელი — ჰაინრიხ კორნელიუსი) — გერმანელი მოაზროვნე და ჰუმანისტი (1486 — 1535)

აგრიპინა იულია უმცროსი (Iulia Agrippina Minor) — იმპერატორ კლავდიუსის ცოლი, ნერონის დედა (16 — 59)

აგუდა — ჩინეთში ჯურჯენთა სახელმწიფოს, ძინის, დამაარსებელი და პირველი იმპერატორი (1068 — 1123)

ადადნირარი — ასურეთის მეფე (ძვ. წ. XIV ს.)

ადალბერტ ბრემენელი (Adalbert von Bremen) — გერმანელი საეკლ.-პოლიტ. მოღვაწე (დაახლ. 1000 — 1072)

ადალბერტ მაგდებურგელი (Adalbert von Magdeburg) — გერმანელი საეკლ.-პოლიტ. მოღვაწე და მემატიანე (გ. 981)

ადამ-ი (Adam) რობერტ — ინგლისელი არქიტექტორი (1728 — 1792)

ადამარ-ი (Hadamard) ჟაკ — ფრანგი მათემატიკოსი (1865 — 1963)

ადამ ბრემენელი (Adam von Bremen) — გერმანელი მემატიანე (გ. 1081-ის შემდეგ)

ადამოვ-ი (Adamov) არტიურ — ფრან-

გი დრამატურგი, ესეისტი, მთარგმნელი (1908 — 1970)

ადამს-ი (Adams) სემიუელ — აშშ-ის პოლიტ. მოღვაწე, პუბლიცისტი (1722 — 1803)

ადამს-ი (Adams) უოლტერ სიდნი — ამერიკელი ასტრონომი (1876 — 1956)

ადამს-ი (Adams) ჯონ — აშშ-ის პოლიტ. და სახელმწ. მოღვაწე (1735 — 1826)

ადამს-ი (Adams) ჯონ კაუჩ — ინგლისელი ასტრონომი (1819 — 1892)

ადამს-ი (Adams) ჯონ კუინსი — აშშ-ის სახელმწ. მოღვაწე და დიპლომატი (1767 — 1848)

ადან-ი (Adam) ადოლფ შარლ — ფრანგი კომპოზიტორი, პიანისტი და პედაგოგი (1803 — 1856)

ადან დე ლა ალ-ი (Adam de la Halle) — ფრანგი ტრუვერი (დაახლ. 1240 — დაახლ. 1286)

ადანსონ-ი (Adanson) მიშელ — ფრანგი ბოტანიკოსი (1727 — 1806)

ადელუნგ-ი (Adelung) იოჰან კრისტოფ — გერმანელი გრამატიკოსი და ლექსიკოგრაფი (1732 — 1806)

ადენაუერ-ი (Adenauer) კონრად — გფრ-ის სახელმწ. მოღვაწე (1876 — 1967)

ადი (Ady) ენდრე — უნგრელი პოეტი და პუბლიცისტი (1877 — 1919)

ადიბ ისჰაყ-ი — არაბი პუბლიცისტი, პოეტი, მთარგმნელი (სირია) (1856 — 1885)

ადიბ ნიშაბური მირზა აბდულ ჯავად იბნ მუსა აბას — ირანელი პოეტი და მეცნიერი (1867 — 1926)

ადისონ-ი (Addison) ტომას — ინგლისელი ექიმი (1793 — 1860)

ადისონ-ი (Addison) ჯოზეფ —ინგლისელი მწერალი, განმანათლებელი (1672 — 1719)

ადლერ-ი (Adler) ალფრედ — ავსტრიელი ექიმი და ფსიქოლოგი (1870 — 1937)

ადლერ-ი (Adler) გვიდო — ავსტრიელი მუსიკათმცოდნე (1855 — 1941)

ადლერ-ი (Adler) ვიქტორ — ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთერთი ლიდერი (1852 — 1918)

ადლერ-ი (Adler) მაქს — ავსტრიელი ფილოსოფოსი (1873 — 1937)

ადლერ-ი (Adler) ფრიდრიხ — ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთერთი ლიდერი (1879 — 1960)

ადორნო (Adorno) თეოდორ (მამის გვარი — ვიზენგრუნდი, Wiesengrund; ა. დედის გვარია) — გერმანელი ფილოსოფოსი, სოციოლოგი და მუსიკის თეორეტიკოსი (1903 — 1969)

ადრიანე პუბლიუს ელიუს (Publius Aelius Hadrianus) — რომის იმპერატორი (76 — 138)

ადრიანე I (Hadrianus) — რომის პაპი 772 — 795 წლებში

ადრიანე IV (Hadrianus; ერისკაცობაში — ნიკოლას ბრეიქსპირი, Breakspeare) — ინგლისელი საეკლ. მოღვაწე, რომის პაპი (დაახლ. 1100 — 1159)

ადრიანე VI (Hadrianus; ერისკაცობაში — ადრიანე დედელი, Adrian Dedel) — რომის პაპი (1459 — 1523)

აეციუს-ი ფლავიუს (Aetius Flavius) — დასავლეთ რომის იმპერიის მხედართმთავარი, პოლიტ. მოღვაწე და დიპლომატი (დაახლ. 390 — 454)

ავად-ი თაუფიყ იუსუფ — არაბი მწერალი (ლიბანი) (დ. 1908)

ავადალა ბაბიქერ — სუდანის პოლიტ. და საზ. მოღვაწე (დ. 1917)

ავგერის-ი (Augerēs) მარკოს (ფსევდ.; ნამდვ. სახელი და გვარი — გეორგოს პაპადოპულოსი) — ბერძენი მწერალი (დ. 1884)

ავგუსტინე ნეტარი (Augustinus Sanctus), **ავგუსტინე ავრელიუსი** — აფრიკელი ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი (354 — 430)

ავგუსტინჩიჩ-ი (Augustinčić) ანტუან — ხორვატი მოქანდაკე (1900 — 1979)

ავგუსტუს-ი (Augustus) გაიუს ოქტავია-

ნე -- რომის იმპერატორი (ძვ. წ. 63 — ახ. წ. 14)

აველიანედა ხერტრუდის გომეს დე, იხ. გომეს დე აველიანედა ხ.

ავენარიუს-ი (Avenarius) რიხარდ — შვეიცარიელი ფილოსოფოსი (1843 — 1896)

ავენელ-ი (Avenel) ჟორჟ ჟიკონტ დ' — ფრანგი ისტორიკოსი (1855 — 1939)

ავენტინუს-ი (Aventinus; ნამდვ. სახელი და გვარი — იოჰან ტურმაირი, Turmayr) — გერმანელი ჰუმანისტი, ისტორიკოსი (1477 — 1534)

ავერესკუ (Averescu) ალექსანდრ — რუმინელი სამხ. და პოლიტ. მოღვაწე (1859 — 1938)

ავერკამპ-ი (Avercamp) ჰენდრიკ — ჰოლანდიელი ფერმწერი (1585 — 1634)

ავეროეს-ი, იხ. იბნ რუშდი

ავიანე (Avianus) ფლავიუს — რომაელი პოეტი (IV ს.)

ავისის დინასტია (Aviz, Avis) — პორტუგალიის სამეფო დინასტია (1385 — 1580)

ავიტაბილე (Avitabile) პიეტრო დონ — იტალიელი მისიონერი, თეატინელი ბერი; 1626 — 28 წლებში სათავეში ედგა თეატინელთა ორდენის მისიას საქართველოში.

ავიცებრონ-ი, იხ. იბნ გაბიროლი

ავიცენა, იხ. იბნ სინა

ავლინ-ი (Aveline) კლოდ — ფრანგი მწერალი (დ. 1901)

ავოგადრო (Avogadro) ამედეო — იტალიელი ფიზიკოსი და ქიმიკოსი (1776 — 1856)

ავრელიანე ლუციუს დომიციუს (Aurelianus Lucius Domicius) — რომის იმპერატორი (214 ან 215 — 275)

ავრელიუს-ი ვიქტორ სექსტუს (Aurelius Victor Sextus) — რომაელი ისტორიკოსი (IV ს.)

ავრელიუს-ი მარკუს, იხ. მარკუს ავრელიუსი

ავრილ-ი (Avril) ფილიპ — ფრანგი იეზუიტი მისიონერი (XVII — XVIII სს.)

ავსონიუს-ი დეციმუს მაგნუს (Ausonius Decimus Magnus) — რომაელი მწერალი (309 — 394)

ავფი მუჰამად იბნ მუჰამად სადიდ ალ-დინ ბუხარაი — სპარსულ-ტაჯიკური ლიტერატურის წარმომადგენელი, ლიტერატურის ისტორიკოსი (XII ს. დასასრ. და XIII ს. დასაწყ.)

აზად-ი მაელანა აბულ ქალამ აზადი — ინდოეთის პოლიტ. მოღვაწე და მეცნიერი (1888 — 1958)

აზამ-ი (Asam) ეგიდ კვირინ — გერმანელი ფერმწერი, მოქანდაკე და არქიტექტორი (1692 — 1750)

აზამ-ი (Asam) კოსმას დამიან — გერმანელი ფერმწერი, მოქანდაკე და არქიტექტორი (1686 — 1739)

აზატ-ხან-ი — ირანის სარდალი; წარმოშობით ავღანელი (გ. დაახლ. 1762)

აზიზ ნესინ-ი (Aziz Nesin; ფსევდ.; ნამდვ. სახელი — მაჰმუდ ნუსრეთი) — თურქი მწერალი (დ. 1915)

აზიმოვ-ი (Asimov) აიზეკ — ამერიკელი მწერალი (დ. 1920)

აზჰარი ისმაილ — სუდანის რესპუბლიკის სახელმწ. და პოლიტ. მოღვაწე (1902 — 1969)

ათათურქ-ი (Atatürk) მუსტაფა ქემალ — თურქეთის რესპუბლიკის ფუძემდებელი და მისი პირველი პრეზიდენტი (1881 — 1938)

ათაი (Atay) ფალიჰ რიფქი — თურქი მწერალი, ჟურნალისტი (დ. 1894)

ათანასე ალექსანდრიელი (Athanasios ho Alexandreōtikos) — ქრისტ. ეკლესიის მოღვაწე და ღვთისმეტყველი (დაახლ. 295 — 373)

ათარ-ი ფარიდ ალ-დინ მუჰამად იბნ იბრაჰიმ — სპარსულ-ტაჯიკური პოეზიის წარმომადგენელი (1119 ან 1136 — ვარაუდით 1229)

ათასი ნურ ალ-დინ — სირიის სახელმწ. მოღვაწე (დ. 1929)

ათასი ჰაშიმ — სირიის პოლიტ. და სახელმწ. მოღვაწე (1876 — 1960)

ათენეოს ნავკრატიდელი (Athenaios ho

Naukratitės) — ძვ. ბერძენი მწერალი, რიტორი და გრამატიკოსი (II — III სს.)

ათრაშ-ი სულთან — დრუზი ფეოდალი, სირიის ეროვნული აჯანყების ხელმძღვანელი (დ. 1891)

აია დე ლა ტორე (Haya de la Torre) ვიქტორ რაულ — პერუს პოლიტ. მოღვაწე, სოციოლოგი (1895 — 1979)

აიგენ-ი (Eigen) მანფრედ — გერმანელი ფიზიკოსი და ქიმიკოსი (დ. 1927)

აიგენ-ი (Aygen) რეშად ენის — თურქი მწერალი (დ. 1909)

აიგნერ-ი (Aigner) ხრისტიან პიოტრ — პოლონელი არქიტექტორი, არქიტექტურის თეორეტიკოსი (1756 — 1841)

აიდიტ-ი (Aidit) დიპა ნუსანტარა — ინდონეზიის მუშათა და კომუნისტური მოძრაობის მოღვაწე (1923 — 1965)

აიდუკიევიჩ-ი (Ajdukiewicz) კაზიმიერ — პოლონელი ფილოსოფოსი და ლოგიკოსი (1890 — 1963)

აიერ-ი (Ayer) ალფრედ ჯულზ — ინგლისელი ფილოსოფოსი (დ. 1910)

აიკე ფონ რეპკოვ-ი [Eike (Eico, Heiko) von Repkow (Repgau, Repegouw), გერმ. გამოთქმით — აიკე ფონ რეპკო] — გერმანელი იურისტი (დაახლ. 1180 — 1233-ის შემდეგ)

აიმერ-ი (Eimer) თეოდორ გუსტავ ჰაინრიხ — გერმანელი ზოოლოგი (1843 — 1898)

აინზიდელ-ი (Einsiedel) იოჰან აგგუსტ ფონ — გერმანელი ფილოსოფოსი (1754 — 1837)

აინშტაინ-ი (Einstein) ალბერტ — გერმანელი ფიზიკოსი (1879 — 1955)

აინშტაინ-ი (Einstein) ალფრედ — გერმანელი მუსიკის ისტორიკოსი და კრიტიკოსი (1880 — 1952)

აინჰარდ-ი (Einhard, Eginhard) — „კაროლინგური აღორძინების“ მოღვაწე ფრანკთა სახელმწიფოში (დაახლ. 770 — 840)

აირტონ-ი (Ireton) ჰენრი — ინგლისის სამხ. და პოლიტ. მოღვაწე (1611 — 1651)

აისლერ-ი (Eisler) ჰანს — გერმანელი კომპოზიტორი და საზ. მოღვაწე (გდრ) (1898 — 1962)

აისნერ-ი (Eisner) კურტ — გერმანიის მუშათა მოძრაობის მოღვაწე (1867 — 1919)

აიტნერ-ი (Eitner) რობერტ — გერმანელი მუსიკათმცოდნე (1832 — 1905)

აი უ (ფსევდ.; ნამდვ. სახელი — ტან დაოგენი) — ჩინელი მწერალი (დ. 1904)

აიუბიდები — ეგვიპტის მმართველთა დინასტია (1171 — 1250)

აიუბ-ხან-ი მუჰამად — პაკისტანის სახელმწ. და სამხ. მოღვაწე (დ. 1907)

აიუი (Haüy) ვალენტენ — ფრანგი პედაგოგი (1745 — 1822)

აიუი (Haüy) რენე ჟიუსტ — ფრანგი კრისტალოგრაფი და მინერალოგი (1743 1822)

აიუუი — სპარსულ-ტაჯიკური პოეზიის წარმომადგენელი (XI ს.)

აიუში — განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწე მონღოლეთში (1858 — 1939)

აი ცინ-ი (ფსევდ.; ნამდვ. სახელი — ჯიან ხაიჩენი) — ჩინელი პოეტი (დ. 1910)

აიხენდორფ-ი (Eichendorff) იოზეფ ფრაიჰერ ფონ — გერმანელი მწერალი (1788 — 1857)

აიხლერ-ი (Eichler) ავგუსტ ვილჰელმ — გერმანელი ბოტანიკოსი (1839 — 1887)

აიხმან-ი (Eichmann) კარლ ადოლფ — ფაშისტური გერმანიის სამხ. დამნაშავე (1906 — 1962)

